გაკვეთილების მსვლელობის პროცესში გამოიყენება კედლის მაგნიტური დაფა, ბეჭდური მასალა და პატარა ინდივიდუალური დაფებით პრაქტიკული თამაში ბავშვებისთვის. თავდაპირველად, ბავშვები გაიმეორებენ/შეისწავლიან ბაზისურ საჭადრაკო წესებს და ამავდროულად დაიწყებენ თამაშს პატარა დაფებზე. თეორიის სწავლება მიმდინარეობს კედლის მაგნიტური დაფისა და ინდივიდუალური ბეჭდური მასალის საშუალებით, სადაც ბავშვები ასრულებენ საჭადრაკო სავარჯიშოებს.

♟ სილაბუსი ჭადრაკში — მეორე კლასი

თემა	მიზანი	მეთოდი
პირველი გაკვეთილი — გამეორება	მოსწავლეებმა გაიხსენონ დაფის სტრუქტურა და ფიგურების საწყისი მდებარეობა	კედლის დაფაზე ჩვენება; ბეჭდური დავალება დაფის დალაგებაზე; მაგნიტურ დაფაზე თამაშის დაწყების ჩვენება.
ფიგურების მოძრაობის წესების გამეორება	ფიგურების მოძრაობის წესების განმტკიცება პრაქტიკული თამაშით	ინდივიდუალურ დაფებზე სავარჯიშოები; ბეჭდური სავარჯიშოები. კედლის დაფის სავარჯიშოები.
ქიში და შამათი — გამეორება	ქიშის და შამათის მნიშვნელობის გამყარება	კედლის დაფაზე მაგალითები; ბეჭდური სავარჯიშოები: “იპოვე შამათი ერთ სვლაში”, “გადაარჩინე საკუთარი მეფე/ფიგურა”.
ფიგურების დაცვა და საფრთხე	ფიგურის გადარჩენა და საფრთხის განსაზღვრა	მაგნიტური დაფის სცენარები; სავარჯიშოები ფურცელზე “დაცული/დაუცველი ფიგურა”.
გაცვლა — როდის ღირს?	სწორი გაცვლის გადაწყვეტილების მიღება	ვიზუალური მაგალითები დაფაზე; ჯგუფური განხილვა “გაცვლიდი თუ არა?”
შამათი 2 სვლაში	ბავშვებმა ისწავლონ რთული შამათის ფორმები	მასწავლებლის მიერ კედელზე მაგალითების ჩვენება; ამოცანების ამოხსნა.
შამათი კიდესთან	მეფის გამოჭერის მაგალითების სწავლა	დაფაზე პრაქტიკული სცენარები; ინდივიდუალური დავალებები

ორი ეტლით შამათი	2 ეტლით შამათის ჩასმის სტანდარტების ცოდნა.	მაგნიტურ დაფაზე ეტაპობრივი ჩვენება; ბეჭდური სავარჯიშოები; ბავშვები ცდილობენ განმეორებას პატარა დაფებზე.
ლაზიერით და მეფით შამათი	მხოლოდ 1 ლაზიერით შამათის ჩასმა.	მაგნიტურ დაფაზე მაგალითები; ამოცანები ფურცელზე; პრაქტიკული თამაშები
პაიკის განსხვავებული წესები	პაიკის დანიშნულება და თავისებურებანი; პაიკით მოკვლა, გავლაზე მოკვლა, ფიგურის გაცოცხლება.	კედელის დაფაზე მაგალითები; თამაშები, სადაც მიზანია პაიკის გაყვანა ბოლო ხაზამდე.
პაიკების რბოლა	სწრაფი გადაწყვეტილების მიღება	პრაქტიკული დავალებები დაფებზე; შეჯიბრი “ვინ მიიყვანს პაიკს პირველი”.
როქის გამეორება და გამოყენება	როდის კეთდება როქი და რატომ არის სასარგებლო	კედლის დაფაზე ვიზუალიზაცია; თამაშებში როქის გამოყენება; შამათები როქით.
მარტივი სტრატეგია — ცენტრის კონტროლი	ფიგურების განვითარება და ცენტრის მნიშვნელობა	თამაშის დასაწყისის მაგალითები; სავარჯიშოები “ვის უკავია ცენტრი?”
დასაწყისი	სწორი დასაწყისის პრინციპების გაცნობა	დაფაზე სწორი დასაწყისის ჩვენება; ბავშვები იმეორებენ დასაწყისის პრინციპებს პატარა დაფებზე.
მარტივი პარტიის ანალიზი	ბავშვებმა ისწავლონ თავისი თამაშის შეფასება	ერთობლივი განხილვა ერთ-ერთ პარტიაზე; კითხვა-პასუხი.
მეფის აქტიურობა ბოლო თამაშში	ენდშპილის მნიშვნელობის გაცნობა	მაგნიტურ დაფაზე მარტივი ენდშპილის პოზიციები;
შეჯამება	ნასწავლის გამყარება	კითხვებით თამაში “რა ვისწავლეთ?”;
მინი ტურნირი	ნასწავლის გამოყენება რეალურ თამაშში	კლასური ტურნირი; მასწავლებლის დაკვირვება და შეფასება